

დანართი 3
აქციის დანართი № _____

ქ. _____

28-12-2018 წ.

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

გადასტურებ და ვეთანხმები ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

- **აქციის დასახელება: " აქცია სამი ქალაქის აბონენტებისთვის "**
- **აქციის პირობები:**

1. "სამი ქალაქის აბონენტებისთვის აქციის" (შემდგომში "აქცია") (ქალაქებში: ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი, ველისციხე, კაბალი) ფარგლებში, ოპტიკური და DSL ინტერნეტ ან/და სილქ ტვ მომსახურების (ან მომსახურებ(ებ)ის ნებისმიერი კომბინაციის, რომელიც მოიცავს აღნიშნულ მომსახურებებს) მიმღებ აბონენტებს, შესაძლებლობა აქვთ, შესაბამისი მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო გადასახადის ფარგლებში ისარგებლონ მომსახურება მომატებული ინტერნეტ-სიჩქარით ან თემატური ტვ პაკეტით/პაკეტებით, წინამდებარე აქციის პირობებით.
2. **აქციის პირობები ინტერნეტ მომსახურების ნაწილში** ვრცელდება აბონენტებზე, რომლებიც არიან შემდეგი მომსახურებების/კომბინაციის მომხმარებლები:
 - 2.1. ცალკე მდგომ ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე ერთდროულად ოპტიკური ინტერნეტი და სილქფონის, ან ს1 სამმაგი შეთავაზების მიმღები აბონენტები
 - 2.2. DSL ინტერნეტ მომსახურების ან ს1 სამმაგი შეთავაზების მიმღები აბონენტები
 - 2.3. ოპტიკური ორმაგი შეთავაზების (ინტერნეტ მომსახურება და სილქ ტვ ერთად), სამმაგი/ოთხმაგი ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე ერთდროულად სამი მომსახურების (რომელიც მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტს ერთად) მიმღები აბონენტები
 - 2.4. DSL ტექნოლოგიის სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების, ან სამი მომსახურების (რომელიც მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტ მომსახურებას (ერთდა)) მიმღები აბონენტები
3. აქციის ფარგლებში ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების (ან მომსახურებების კომბინაციის/სპეციალური შეთავაზების, რომელიც მოიცავს ინტერნეტ მომსახურებას) მიმღებ აბონენტებს, ინტერნეტ მომსახურების პაკეტით გათვალისწინებული სიჩქარე გაეზრდებათ 20 მბ/წმ-ით - ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახადის ფარგლებში. აღნიშნული პირობა მოქმედებს ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების ნებისმიერ პაკეტზე, გარდა პაკეტი "ფორმულა 1"-ისა და იმ "დრიმ" პაკეტისა, რომლის სიჩქარეს არ მიუღწევია 50 მბ/წმ-თვის.
4. აქციის ფარგლებში DSL ინტერნეტ მომსახურების (ან მომსახურებების კომბინაციის/სპეციალური შეთავაზების, რომელიც მოიცავს ინტერნეტ მომსახურებას) აბონენტებს, ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახადის ფარგლებში, გაუაქტიურდებათ "ბუსტი". აღნიშნული პირობა მოქმედებს "ბუსტთან" თავსებადი სააბონენტო ინტერნეტ პაკეტის არსებობის შემთხვევაში.
5. DSL ინტერნეტ მომსახურებაზე მე-4 პუქტით განსაზღვრული აქციის პირობით "ბუსტის" გააქტიურება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად შესაძლებელია მომატებული სიჩქარის მიწოდება.
6. აქციის პირობით რეგისტრაციის ან აქციის მოქმედების პერიოდში, აბონენტს უფლება აქვს, უარი განაცხადოს აქციის პირობებით სარგებლობაზე.
7. აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტების მიერ აქციის პირობების გაუქმების შემთხვევაში, მათ არ ეზღუდებათ აქციაზე ხელმეორედ რეგისტრაციის შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობებით რეგისტრაციის ვადა არ არის ამოწურული. აქციის პირობების ხელახლა გააქტიურების რაოდენობა არ არის შეზღუდული (DSL ტექნოლოგიაზე მოქმედი "ბუსტის" დეაქტივაცია/აქტივაციის პირობების გათვალისწინებით). ასეთ შემთხვევაში, აქციის მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება თავიდან (აქციის პირობების გააქტიურების დღიდან).
8. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აბონენტებს ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებაზე შეეზღუდებათ აქციის ფარგლებში გააქტიურებული მომატებული სიჩქარე.
9. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აბონენტებს DSL ტექნოლოგიაზე შეუწინაღობდებათ "ბუსტი" და დაერიცხებათ "ბუსტის" სტანდარტული ღირებულება.

10. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება მომსახურებ(ებ)ების დროებით შეჩერების უფლება. დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ ჩერდება.
11. აქციის მოქმედების პერიოდში, ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის სხვა ინტერნეტ პაკეტებით ცვლილებისას, აბონენტს არ შეეზღუდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი აირჩევს აქციასთან თავსებად სხვა ინტერნეტ პაკეტს. თუ ინტერნეტ პაკეტის ცვლილებისას აბონენტი გადავა აქციასთან არათავსებად ინტერნეტ პაკეტზე, აქციის პირობებით სარგებლობის უფლება შეწყდება.
12. იმ შემთხვევაში, თუ ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების მიმღები აბონენტი, აქციასთან არათავსებადი ინტერნეტ პაკეტს შეცვლის აქციასთან თავსებადი ინტერნეტ პაკეტით, არ შეეზღუდება აქციის პირობებით გააქტიურების შესაძლებლობა, თუ აქციის პირობებით რეგისტრაციის ვადა არ არის ამოწურული.
13. **აქციის პირობები სატელევიზიო მომსახურების ნაწილში** ვრცელდება აბონენტებზე, რომლებიც არიან შემდეგი მომსახურებების/კომბინაციის მომხმარებლები:
 - 13.1. ცალკე მდგომი სილქ ტვ მომსახურების (ან სილქ ტვ და სილქფონი ერთად) მიმღები აბონენტები
 - 13.2. ოპტიკური ორმაგი შეთავაზების (ინტერნეტი და სილქ ტვ ერთად), სამმაგი/ოთხმაგი ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე სამი მომსახურების (რომელიც მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტ მომსახურებას ერთად) მიმღები აბონენტები
 - 13.3. DSL ტექნოლოგიის სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ან სამი მომსახურების (რომელიც მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტ მომსახურებას ერთად) მიმღები აბონენტები
14. აქციის ფარგლებში ოპტიკური და DSL სილქ ტვ მომსახურების (ან მომსახურებების კომბინაციის/სპეციალური შეთავაზების, რომელიც მოიცავს სატელევიზიო მომსახურებას) აბონენტები ისარგებლებენ შემდეგი თემატური პაკეტებით: "კინო", "პლიუსი" და "სილქ მიქსი" - სატელევიზიო მომსახურების სააბონენტო გადასახადის ფარგლებში (თემატური პაკეტი "სილქ მიქსის" გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ სილქ ტვ-ის "სტანდარტ" პაკეტის შემთხვევაში).
15. აბონენტებს უფლება აქვთ, აირჩიონ მე-14 პუნქტით განსაზღვრული სილქ ტვ თემატური პაკეტებიდან ერთი, ორი, ან სამივე.
16. თუ სილქ ტვ მომსახურების მიმღები აბონენტი, აქციის პირობების გააქტიურებამდე (აქციის ამოქმედების თარიღამდე) უკვე სარგებლობდა მე-14 პუნქტით განსაზღვრული თემატური პაკეტებით, მას აქციის პირობები გაუაქტიურდება ავტომატურად და აღნიშნული თემატური პაკეტ(ებ)ის მიწოდება განხორციელდება მე-14 პუნქტით განსაზღვრული პირობებით.
17. მე-14 პუნქტით განსაზღვრული პირობა არ ვრცელდება სილქ ტვ მომსახურების "დელუქს" და "დელუქს HD" პაკეტებზე (ან სპეციალურ შეთავაზებაზე/მომსახურებების კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს აღნიშნულ სააბონენტო პაკეტებს).
18. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ფარგლებში სარგებლობს მე-14 პუნქტით განსაზღვრული (ერთი ან ყველა) თემატური პაკეტით, აქციის პირობებით ავტომატურად გააქტიურდება ის თემატური პაკეტ(ებ)ი, რომელიც მონაწილეობს აქციაში და აბონენტს არა აქვს არჩეული სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ფარგლებში. არ იზღუდება აბონენტის მიერ სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ფარგლებში გააქტიურებული სილქ ტვ თემატური პაკეტის გაუქმებისა და აქციის ფარგლებში მათი ხელახალი რეგისტრაციის უფლება.
19. აქციის პირობებით რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში ან აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს უფლება აქვს უარი განაცხადოს აქციის პირობებით სარგებლობაზე, ასევე, უფლება აქვს, უარი განაცხადოს აქციის ფარგლებში გააქტიურებულ რომელიმე სილქ ტვ თემატური პაკეტით სარგებლობაზე.
20. აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტს, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში შესაძლებლობა აქვს გაიუქმოს და ხელახლა გააქტიუროს აქციის პირობები. ასეთ შემთხვევაში აქციის ვადის ათვლა დაიწყება თავიდან (აქციის პირობების გააქტიურების დღიდან). აქციის ხელახლა გააქტიურების რაოდენობა არ არის შეზღუდული (სილქ ტვ თემატური პაკეტის ცვლილების პირობების და დეაქტივაცია/აქტივაციის სტანდარტული პირობების გათვალისწინებით).
21. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აბონენტს შეეზღუდება აქციის ფარგლებში გააქტიურებული სილქ ტვ თემატური პაკეტებით სარგებლობის უფლება.
22. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს, აქციის გააქტიურებისას უკვე გააქტიურებული ჰქონდა აქციაში მონაწილე სილქ ტვ თემატური პაკეტ(ებ)ი, აქციის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, მას შეუწინააღმდეგება აღნიშნული თემატური პაკეტ(ებ)ი და დაერიცხება მათი სტანდარტული ღირებულება.
23. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება მომსახურებ(ებ)ების დროებით შეჩერების უფლება. დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ ჩერდება.
24. აქციის მოქმედების პერიოდში, აქციის ფარგლებში ჩართული სილქ ტვ სააბონენტო პაკეტის სხვა პაკეტებით ცვლილებისას, აბონენტს არ შეეზღუდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი აირჩევს აქციასთან თავსებად სხვა სააბონენტო პაკეტს. თუ აბონენტი შეიცვლის სილქ ტვ მომსახურების პაკეტს სხვა, აქციასთან არათავსებადი პაკეტით, აბონენტს შეეზღუდება აქციით სარგებლობის უფლება.

25. იმ შემთხვევაში, თუ სილქ ტვ მომსახურების მიმღები აბონენტი, აქციასთან არათავსებად სააბონენტო პაკეტს შეცვლის აქციასთან თავსებადი სააბონენტო პაკეტით, მას არ შეეზღუდება აქციის პირობების გააქტიურების შესაძლებლობა, თუ აქციის პირობებით რეგისტრაციის ვადა არ არის ამოწურული.
26. აქციის მოქმედების პერიოდში, აქციის ფარგლებში ჩართული ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურების აბონენტებისთვის შეზღუდულია მომსახურების პორტალის საშუალებით სააბონენტო პაკეტის ცვლილების შესაძლებლობა.
27. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება - **2019 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.
28. აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება აქციაზე **რეგისტრაციიდან 2 (ორი) წლის ვადით**.
29. **მომსახურების მოწყობის მისამართის ცვლილებისას**, აბონენტს ახალ მისამართზე უწყდება მისამართის ცვლილებამდე გააქტიურებული აქციის პირობებით სარგებლობის უფლება.
30. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურებების რეგისტრაცია მოხდება აქციის პირობებით.
31. იმისთვის, რომ ახალ მისამართზე აბონენტმა ისარგებლოს აქციის პირობებით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს 27-ე პუნქტით განსაზღვრული ვადის დასრულებიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში.
32. **ტექნოლოგიის ცვლილებისას**, აბონენტს ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლისას, უწყდება ტექნოლოგიის ცვლილებამდე გააქტიურებული აქციის პირობებით სარგებლობის უფლება.
33. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურებების რეგისტრაცია მოხდება აქციის პირობებით.
34. იმისთვის, რომ ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლისას, აბონენტმა ისარგებლოს აქციის პირობებით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს 27-ე პუნქტით განსაზღვრული ვადის დასრულებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში.

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____